აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

2018 წლის საშემოდგომო სესიიდან **2019** წლის საშემოდგომო სესიამდე

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი ახორციელებდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ საქმიანობას: უზრუნველყოფდა საკანონმდებლო საკითხების მომზადების ხელშეწყობას, კონტროლს უწევდა უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას, შეიმუშავებდა სავალდებულო დასკვნებს, კანონპროექტებსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრულ საკითხებზე.

ანგარიშში ასახულია **2018** წლის საშემოდგომო სესიიდან **2019** წლის საშემოდგომო სესიამდე კომიტეტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ ინფორმაცია, უმაღლეს საბჭოსა და ბიუროს სხდომებზე კომიტეტის თავმჯდომარის მიერ გატანილი საკითხების, კომიტეტის მიერ გამართული სხდომების, მომზადებული დასკვნების, მოქალაქეთა მიღებებისა და განხილულ კორესპონდენციათა სტატისტიკა. წარმოდგენილია კომიტეტის თავმჯდომარისა და წევრების მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების, შეხვედრებისა და სხვადასხვა საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი
კომიტეტის თავმჯდომარის
მოადგილე დავით თედორაძე

კომიტეტის წევრები: მერაბ კარანაძე
ცოტნე ანანიძე
ასმათ დიასამიძე
გიორგი ცინცქილაძე

საკანონმდებლო საქმიანობა

- კომიტეტმა შეიმუშავა და წარადგინა 14 სავალდებულო დასკვნა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ საკითხებზე;
- საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა ჩაატარა 9 სხდომა და განიხილა 14 საკითხი;
- საანგარიშო პერიოდში კომიტეტში მიღებული იქნა 65 მოქალაქე;
- კომიტეტში შემოვიდა და დამუშავდა 166 კორესპონდენცია;
- კომიტეტიდან გაიგზავნა 214 კორესპონდენცია.

კანონპროექტები, რომელიც შემუშავდა კომიტეტში

1. კომიტეტში დამუშავდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“.

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 4 მაისის პლენარულ სხდომაზე მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. ცვლილებებით გასწორდა მნიშვნელოვანი ხარვეზები როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტმა შესაძლებლობა მოგვცა შეგვემუშავებინა ,,განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი, რომლის მიღებით შესაძლებელი გახდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლების სფეროში სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლებისა და პრინციპების დარეგულირება, კანონის პროექტში გაწერილია მეცნიერების, უმაღლესი, ზოგადი, პროფესიული, არაფორმალური, ინკლუზიური განათლების განხორციელების ხელშეწყობის პირობებზე და კონტროლის განხორციელების რეგულაციებზე.

კანონის პროექტი განსახილველად წარედგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

2. კომიტეტის თავმჯდომარის - ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ შემუშავებული იქნა კანონპროექტი - ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე'' - საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ. კანონპროექტის შემუშავების მიზანია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებისათვის უფლების დელეგირება, რომლის თანახმადაც, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი სამინისტროები მათდამი დაქვემდებარებულ საჯარო სკოლებს მისცემენ წერილობით გაფრთხილებას ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართავენ შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე. ასევე სამინისტროებს მიეცემათ უფლება შეუწყვიტონ უფლებამოსილება დირექტორს/ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, თუ საჯარო სკოლა დირექტორის საქმიანობის გამო ერთი წლის განმავლობაში ორ წერილობით გაფრთხილებას მიიღებს.

კანონის პროექტი განსახილველად წარდგენილია საქართველოს პარლამენტში და მიმდინარეობს საკომიტეტო მოსმენები

2. კომიტეტში მუშავდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი ,,კულტურის შესახებ".

პროექტი უახლოეს პერიოდში განსახილველად წარედგინება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები სისტემატიურად მართავენ შეხვედრებს საზოგადოებასთან, უცხოელ სტუმრებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან

07.09. 2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილი პროექტის - დებატები ევროპული მომავლისათვის - მონაწილეებს შეხვდა.

ვლადიმერ მგალობლიშვილი პროექტის მონაწილეებს ესაუბრა არაფორმალური და ფორმალური განათლების, პროფესიულ განათლების, სტაჟირების, მოხალისეობისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ. ახალგაზრდებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის თაობაზე, მიმოიხილა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ახალგაზრდებისთვის შექმნილ პროექტები.

08.10. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი, სასტუმრო „ჰილტონში“, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში დაგეგმილ კონფერენციას დაესწრო.

21.11.2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი მონაწილეობდა რეგიონის საჯარო სკოლების წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონიალში, რომელთაც გასულ სასწავლო წელს საბაზო საფეხური დამრგვალების გარეშე, 10-ქულიანი შეფასებით დაასრულეს.

პროგრამის ფარგლებში, კომპიუტერებით 77 ბათუმელი, 51- ქობულეთელი, 27- ხელვაჩაურელი, 18- ქედელი, 36 - შუახეველი და 58 - ხულოელი, სულ - 267 მოსწავლე დაჯილდოვდა.

26.11. 2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი მონაწილეობდა რეგიონის წარჩინებული სტუდენტების დაჯილდოების ცერემონიალში, რომელიც სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა.

04.12. 2018 წელი

უმაღლეს საბჭოში ვ. მგალობლიშვილის ინიციატივით, შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების ინსპექტორების ერთობლივი პროგრამებით მომზადებასთან

დაკავშირებით, შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას პროფესიული სასწავლებლების - „ბლექსი“-სა და „ახალი ტალღის“, ასევე ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრის ხელმძღვანელები: გიორგი გოგიტიძე, ლაშა ხახუტაიშვილი და გიორგი მიქელაძე ესწრებოდნენ. იმსჯელეს ბელორუსი სპეციალისტების მხრიდან ამ პროგრამების შექმნაში ქართველი კოლეგებისთვის დახმარების გაწევასა და შესაბამისი სპეციალისტების გადამზადების თაობაზე.

18.12.2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი სასტუმრო „რედისონში“ გამართულ „ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის“ ქვეპროგრამის მონაწილე მასწავლებლების დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო.

19.12.2018 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი დაესწრო განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კლასიკური მუსიკის კონცერტს. ღონისძიებაში სკოლისგარეშე სახელოვნებო სკოლების წარმატებული მოსწავლეები და გუნდები მონაწილეობდნენ. კონცერტის შემდეგ, 2018 წლის 35 წარმატებულ მასწავლებელს სამახსოვრო ხელნაკეთი საჩუქრები გადაეცა.

07.02.2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი ბათუმში მულტიმოდალური გადატვირთვის ტერმინალის გახსნის ცერემონიალს დაესწრო. ბათუმის ნავსადგურში საკონტეინერო ტვირთების მიმოსვლისთვის განკუთვნილი ახალი გასასვლელი, საკონტეინერო ეზო, ახალი საკონტეინერო სატვირთო საწყობი და რკინიგზის ხაზი ამოქმედდა.

01.03. 2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი კრავ მაგას ფედერაციის წარმომადგენლებს შეხვდა და კომპეტენციის ფარგლებში თანადგომა და მხარდაჭერა აღუთქვა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა რეგიონში კრავ მაგას განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს. აღინიშნა, რომ მსოფლიოში მზარდი პოპულარობის მქონე საბრძოლო ხელოვნების რეგიონალური ფედერაცია საამისოდ გარკვეული ღონისძიებების გატარებას გეგმავს. შეხვედრას ესწრებოდნენ კრავ მაგას მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი გაბი მიჩელი, აშშ-ის კრავ მაგას საერთაშორისო პორტალის - “UVENTEX-ის“ დამფუძნებელი მოშე გერშბერგი, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია, ამავე ფედერაციის წარმომადგენელი გიორგი გიგოლაშვილი და აჭარის კრავ მაგას ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა სურმანიძე.

31.03. 2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი საქართველოს პარლამენტის წევრებთან და ქალაქ ბათუმის მერთან ერთად, ბათუმის სასპორტო სკოლაში მუხრან ვახტანგაძის

სახელობის მე-7 საერთაშორისო ტურნირს დაესწრო. ტურნირში 10 ქვეყნის 112 სპორტსმენი მონაწილეობდა.

08.04.2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 9 აპრილის მოვლენებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

11.04. 2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი თურქულ კომპანიასა და შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანიას“ შორის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდა, რომელიც სასტუმრო „ჰილტონში“ გაიმართა. ხელშეკრულების თანახმად, ქობულეთში, სოფელ ცეცხლაურში თანამედროვე სტანდარტების სანიტარული ნაგავსაყრელისა და შესაბამისი დამხმარე ნაგებობების მშენებლობის ღირებულება 7 მილიონი ევროა.

12.04.2019 წელი

ვლადიმერ *მგალობლიშვილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და მის მოადგილესთან ერთად რეგიონის ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს წევრებს შეხვდა. ახალგაზრდებს საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები და მუშაობის ძირითადი პრინციპები გააცნეს, ისაუბრეს მიღებულ კანონებსა და საკანონმდებლო სიახლეებზე.*

5.05.2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური საცხოვრებლის გახსნის ცერემონიას დაესწრო. 200 სტუდენტზე გათვლილი ოთხსართულიანი შენობა ბათუმში, ლეონიძის 15-ში მდებარეობს და სრულად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სტუდენტთა განკარგულებაშია საკონფერენციო დარბაზი, თავისუფალი სივრცეები და ბიბლიოთეკა, შშმ პირთათვის ადაპტირებული სივრცეები.

10.05.32019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად, უმასპინძლა ქვემო სილეზიის დელეგაციასთან გამართულ შეხვედრას, სადაც დადებითად შეფასდა კულტურისა და ჯანდაცვის სფეროებში ჩვენს რეგიონებს შორის აქტიური ურთიერთობები. მხარეებმა ისაუბრეს მზარდი ტურისტული ნაკადებისა და ეკონომიკური მიმართულებით განსახორციელებელი აქტივობების, ასევე სამომავლოდ დაგეგმილი რეგიონული პარლამენტების კონფერენციის შესახებ, რომელშიც ქვემო სილეზიის, ბრანდენბურგისა და აჭარის საკანონმდებლო ორგანოები მიიღებენ მონაწილეობას.

17.05.2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილი დაესწრო ბათუმში, განათლებისა და მეცნიერების ქალაქის პროექტის წარდგენას, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ წარმოადგინა. მულტიფუნქციური კომპლექსის პროექტი საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სპორტულ მოედნებს, სარეკრეაციო სივრცეს, საცხოვრებელსა და სხვა კომპლექსებს მოიცავს. განათლებისა და მეცნიერების ქალაქის მშენებლობა ბათუმში, ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, 7 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე დაიწყება და 2020 წლისთვის დასრულდება.

29.08. 2019 წელი

ვლადიმერ მგალობლიშვილმა მონაწილეობა მიიღო ბათუმის შავი ზღვის ხელოვნებისა და მუსიკის ფესტივალის გახსნის ცერემონიალში.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის - დავით თედორაძის მიერ განხორციელებული აქტივობები:

- მონაწილეობა მიიღო მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალაქის მუზეუმებში ჩატარებულ ღონისძიებებში.

- გაეცნო ქობულეთის რაიონის, სოფელ ხალაში, ზურაბ გორგილაძის სახლ-მუზეუმში, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოებს.

- ქართული პოეზიის დღესა და მხატვართა გამოფენაზე, სამომავლო გეგმებთან დაკავშირებული შეხვედრა გამართა მხატვრებთან: ჯემალ კუხალაშვილთან, გურამ ფუტკარაძესთან, ნოდარ შავაძესთან, ზურაბ კოჩალიძესთან და ივანე კეზუასთან.

- მონაწილეობა მიიღო აჭარის მასშტაბით, საგაზაფხულო ლიტერატურულ კვირეულში.

- მონაწილეობა მიიღო 22 აპრილს, დედამიწის დღესთან დაკავშირებით, დაბა-მახინჯაურის საჯარო სკოლის მიერ მოწყობილ გამწვანების აქციაში.

- აქტიური მონაწილეობა მიიღო ცნობილი მწერლის, ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნუგზარ ჯაფარიძის ხსოვნის საღამოს მომზადებასა და ჩატარებაში.

- აქტიური მონაწილეობა მიიღო ცნობილი ქართველი მწერლის, პოეტის, დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის - ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სახალხო ფესტივალ ,,ფრიდონობის“ დაგეგმვასა და გამართვაში.

კომიტეტის თავმჯდომარე აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. არის სამინისტროში შექმნილი შემდეგი კომისიების წევრი:

- ,,სტუდენტთა დახმარების~ ფარგლებში ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი;

- პროექტების - ,,სწავლა საზღვარგარეთ“, ,,სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა“, ,,კონფერენციის ორგანიზება“ ბენეფიციარების გამოვლენის მიზნით შექმნილი კომისიების წევრი.

- „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით შექმნილი კომისიის წევრი.